



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 40
18/07/2018

40-06-4-201807181746



დადგენილება №40 18 ივლისი 2018 წლის

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს აპარატის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებისათვის მოსაკრებლის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 38-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, 20-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 25-ე მუხლების „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

დაადგინა:

მუხლი 1. დამტკიცდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს აპარატის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებისათვის მოსაკრებლის გადახდის წესი“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და საჯარო ინფორმაციის ბეჭდური სახით გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის და საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 აპრილის N13 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 13/04/2016, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.171.016118).

ბ) „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს აპარატის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებისათვის მოსაკრებლის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 მარტის N16 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 11/03/2015, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010260020.35.113.016223).

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ღურჯუმიძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო